MES 0 22 0000418567

26/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.04.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:10 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი- სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ანზორ ბერიძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

7. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. ლევან მოსახლიშვილი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
10. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. ნინო ჭალაგანიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. გურანდა ჭელიძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**სოფო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**ანი ბილანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	დაწესებულება	პოზიცია	საკითხი
1	მანანა ცერცვაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV
2	მარიამ ველიჯანაშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	მედიცინის პროგრამების (ქართული/ინგლისური) ხელმძღვანელი	III, IV
3	ხათუნა მაკალათია	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	III, IV

4	დავით აფრასიძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	V
5	გიორგი გვალია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ვიცე-რექტორი, პროფესორი	V
6	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	V
7	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფესორი	V
8	გიორგი ოდოშაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	V
9	მაკა ლაშხია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი	V
10	შალვა ჭკადუა	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VI
11	ნინო მოდებაძე	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამების კორდინატორი	VI
12	მაია გონაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის კონსულტანტი	VI
13	ია ჯიმშიტაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის	სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის	VI

		თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სამსახურის ხელმძღვანელი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	
14	რუსუდან დალაქიშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
15	ნანა რინკიაშვილი	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის აკადემიური პერსონალი.	VI
16	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	VII
17	მარინა გედევანიშვილი	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
18	გიორგი ხატიძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართლის ფაკულტეტის დეკანი	VII
19	სერგო ჭელიძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	VII

აკრედიტაციისექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	დავით ჯიქია	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
2	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
3	ცოტნე სამადაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV
4	ირაკლი მანველაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
5	ივანნა მაჩიტიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
6	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
7	ნინო ბოგვერაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დამტკიცებული დღისწესრიგი:

1. „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და პროგრამის დასახელების ცვლილების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 01 აპრილის №341650 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;
2. „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის №890033 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და პროგრამის დასახელების ცვლილების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 01 აპრილის №341650 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა;

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიურ მონიტორინგის შედეგები აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 2022 წლის 18 მარტს. საბჭომ 2022 წლის 01 აპრილის N341650 გადაწყვეტილებით მიიღო გადაწყვეტილება შეეწყვიტა„შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციულოი წარმოება. აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 01 აპრილის N341650 გადაწყვეტილებაში დამატებით აისახა ინფორმაცია პროგრამის დასახელების ცვლილებასთან დაკავშირებით, თუმცა არ იყო მითითებული „ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით. შესაბამისად მიზანშეწონილი იქნება 2022 წლის 01 აპრილის №341650 გადაწყვეტილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

მეორე საკითხი: „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის №890033 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხის განხილვა;

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ეკატერინე ნაცვლიშვილმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ განიხილა 2021 წლის 27 აგვისტოს საბჭოს სხდომაზე. საბჭომ 2021 წლის 10 სექტემბრის N890033 გადაწყვეტილებით შეწყვიტა მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. 2021 წლის 10 სექტემბრის N890033 გადაწყვეტილებაში არ აისახა ინფორმაცია „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია 2021 წლის 10 სექტემბრის N890033 გადაწყვეტილებაში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა„შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და პროგრამის დასახელების ცვლილების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 01 აპრილის №341650 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 01 აპრილის №341650 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილებები:

1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და პროგრამის დასახელებისა და კვალიფიკაციის ცვლილების თაობაზე“;

2. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი:

- საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება);

3. გადაწყვეტილების დანართ N1-ში დამატებით მიეთითოს კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში (1120 ტურიზმი).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის №890033 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 10 სექტემბრის N890033 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი ხასიათის ცვლილებები:

1. გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „შპს ქუთაისის უნივერსიტეტის „საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და პროგრამის დასახელების ცვლილების თაობაზე“;
2. გადაწყვეტილებისსარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტი:

- პროგრამის დასახელებად განისაზღვროს: „საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი“;

3.გადაწყვეტილების დანართ N1-ში დამატებით მიეთითოს საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება: საბუღალტრო აღრიცხვა

მესამე საკითხი : შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 08 მაისის №367134 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებლი მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა, 0912
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0114, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეოთხე საკითხი შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 08 მაისის №367133 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებლი მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა, 0912
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0114, მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
ვინაიდან შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან და ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე გეგმიური მონიტორინგი განახორციელა ერთმა ექსპერტთა ჯგუფმა, საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა ორივე საკითხი განეხილათ ერთი შესვენების ფარგლებში.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 25-26 იანვარს განხორციელდა ვიზიტი შპს სასწავლო უნივერიტეტი გეომედში. მონიტორინგის პროცესი მოიცავდა როგორც ონლაინ შეხვედრებს, ისე ვიზიტს ადგილზე ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების შეფასების მიზნით. სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან დაიწყო დღის წესრიგის შესაბამისად. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან – უნივერსიტეტის რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
ექსპერტის თქმით, პროგრამა სათანადოდაა დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესების საბაზისო პრინციპებზე, რომლითაც გამყარებულია სასწავლო გეგმა და შეფასების სისტემა. მიმდინარეობს მუშაობა სრულად ინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფორმირებასა და განვითარებაზე, რაც შესაძლებელს გახდის პროგრამის განხორციელებას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას, დასახული მიზნების და ამოცანების გადაწყვეტას და სწავლის შედეგების მიღწევას. დინამიურად მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ყველა ასპექტი, გამოკვეთილია თანმიმდევრული და ლოგიკური ჩარჩო პროგრამის შემდგომი სრულყოფისათვის. სტუდენტები იღებენ სათანადო მხარდაჭერას და მათ ეფექტურად იყენებენ პროგრამის განვითარებისა და განხორციელების ხელშესაწყობად. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კლინიკური და კვლევითი უნარების განვითარებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას, საინფორმაციო მხარდაჭერას. პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. რეკომენდირებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია პრაქტიკისთვის, ტრენინგებისთვის და OSCE-ს გამოცდებისთვის სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით;
2. რეკომენდირებულია სილბუსების მოდერნიზება და პერმანენტული განახლება, სილაბუსებში სასწავლო მასალა გადანაწილდეს თემატიკის შესაბამისად – გვერდები, თავები, პარაგრაფები და ა.შ;
3. რეკომენდირებულია „პრაქტიკა კლინიკაში“ გახდეს სავალდებულო საგანი (დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე), გაიწეროს პრერეკვიზიტი(ები).
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსებზე სწავლის ყველა შედეგისა და კომპეტენციის შეფასება.
5. რეკომენდირებულია კლინიკურ დისციპლინებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესაფასებლად OSCE და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება.

6. რეკომენდირებულია OSCE-ს გამოცდებში ჩართული პირების შერჩევა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმით (ლიცენზიაში მითითებული სპეციალობის მიხედვით და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით) და თუკი საჭირო იქნება დამატებითი კადრების ჩართულობა-გადამზადება მოხდეს მხოლოდ მომიჯნავე სპეციალობების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ დააზუსტა მოხდა თუ არა მონიტორინგის ფარგლებში აფილირებული პროფესორების დატვირთვის შეფასება, ვინაიდან პროფესორთა ნაწილი დასაქმებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, შესაბამისად მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ხომ არ უქმნის აღნიშნული გარემოება პრობლემას პროგრამის მდგრადობას.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა OSCE-ს ბაზის რა მასშტაბით განახლებაზეა საუბარი დასკვნის ფარგლებში და, საშუალოდ, რა დრო შეიძლება დასჭირდეს აღიშნული ცვლილებების განხორციელებას. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას რაიმე ნაბიჯები გადადგმული ბაზის განახლებასთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა ასევე მოუწოდა ექსპერტებს შეეფასებინათ დაწესებულებაში არსებული კლინიკური პრაქტიკა და ზოგადად რესურსები, ვინაიდან დასკვნიდან ჩანს, რომ პროგრამა საჭიროებს კლინიკური სწავლების გაძლიერებას ძირითად დისციპლინებთან მიმართებაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კურსი არის 5 კრედიტიანი, თუმცა საკონტაქტო საათებში მოცემულია 64 საათი, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა შედის თუ არა კონსულტაციის საათები საკონტაქტო საათებში. გარდა ამისა, პროგრამის მიზანი, სასწავლო კურსის აღწერის მსგავსია. საბჭოს წევრმა ასევე განმარტა, რომ ყველა სასწავლი კურსი შეესაბამება 69/ნ ბრძანებას და შესაბამისად განსაზღვრულია 3 სწავლის შედეგი, ხოლო მოცემულ სილაბუსში აღნიშნულია 6 შედეგი, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს ინფრასტრუქტურული რესურსი იმისა, რომ სრულყოფილად წარმართოს OSCE-ს გამოცდა და რეალურად გავიდეს იმ შედეგზე, რაც განსაზღვრულია სასწავლო მოცემულობის მიხედვით. რაც შეეხება ადგილობრივ დათვალიერებას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოთახებს გადაკეთება ხდება უშუალოდ გამოცდების დროს. თუმცა, თუკი გათვალისწინებული იქნება ის ნიუანსები, რომელიც OSCE-ს გამოცდას ეხება, დამკვირვებლისა და, უშუალოდ, სტუდენტის კომუნიკაციის კუთხით, ამ შემთხვევაში, უნივერსიტეტს აქვს საშუალება იმისა, რომ სრულად დახვეწოს აღნიშნული მოდელი, არ მოუწიოს პერიოდულად ოთახების გადაკეთება და თითოეულ სტუდენტზე გამოყოს თითოეული დამკვირვებელი ისე, რომ წინამორბედ ან შემდეგ სტუდენტს არ შეეშალოს ხელი გამოცდის ჩაბარებისას.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბაზებთან დაკავშირებით არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა, რადგან საკმაოდ ბევრი სპეციალისტი მუშაობს სხვადასხვა ადგილას და, ცხადია, მათი კონცენტრირება არც თუ ისე მარტივია.

გარდა ამისა პრაქტიკის ნაწილი არ არის სრულად გამჭვირვალე და სტუდენტისთვის არ არის დეტალურად მიწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დახვდება მას პრაქტიკის ფარგლებში. ამასთან, პროგრამის ფარგლებში ექსპერტები თვლიან, რომ კლინიკაში პრაქტიკა არ უნდა იყოს არჩევითი სასწავლო კურსი.

საბჭოს წევრმა, თამარ სირაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია, რომ დაწესებულებას აქვს ურთიერთობა ლინცის უნივერსიტეტთან და დააზუსტა თუ რა სახის ურთიერთობაზეა საუბარი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა, ასევე, დააზუსტა უცხოელი სტუდენტების მიღების პროცედურა, რადგან დოკუმენტებში მოცემულია ან გასაუბრება, ან B2

დონის სერთიფიკატის არსებობა, შესაბამისად, საბჭოს წევრი დაინტერესდა ხდება თუ არა გასაუბრება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს წარმოდგენილი აქვს B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს მედიცინის სიმულაციური კლინიკა, რომელიც მოიცავს 8 აუდიტორიას, აქედან ოთხი იყოფა ორად და OSCE-ს გამოცდებისთვის ეწყობა 12 სადგური. აქედან გამომდინარე, სიმულაციურ კლინიკაში ერთდროულად შეიძლება 92 სტუდენტის მიღება. კლინიკა აღჭურვილია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისად ყველა საჭირო მულაჟით და ინფრასტრუქტურით, რაც უნივერსიტეტის არსებულ სტუდენტთა კვოტას სრულად აკმაყოფილებს. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტს გააჩნია ყველა რესურსი გააფართოვოს კლინიკა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით სასწავლო კურსების განმახორციელებლები პერმანენტულად ახდენენ სილაბუსების განახლებას, საჭიროებიდან გამომდინარე. რაც შეეხება, გვერდების, თავების, პარაგრაფების და ა.შ. გადანაწილებას - ყველა თემატიკა გადანაწილებულია სასწავლო კვირების მიხედვით, ლიტერატურის მითითება სილაბუსში ყველა თემატიკისთვის შესაძლებელია და იქნება გათვალისწინებული დაწესებულების მიერ.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია და გადანაწილებულია სპეციალობის სავალდებულო კლინიკური პრაქტიკის კურსები, რომლებიც ჯამში მოიცავს 157 კრედიტს და შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ სავალდებულო კრედიტებს. „პრაქტიკა კლინიკაში“ არის არჩევითი საგანი, მოიცავს 10 კრედიტს, რომელიც სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს ბოლო 3 წლის მანძილზე, ამიტომ დაწესებულება არ თვლის საჭიროდ, რომ ეს საგანი გახდეს სავალდებულო, რაც შეეხება პრერეკვიზიტებს (წინაპირობებს), არჩევით საგანს წინაპირობები არ გააჩნია.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, მნიშვნელოვანია, რომ ყველა სასწავლო კურსზე შედგენილია დარგობრივ შედეგებზე და კომპეტენციებზე გასვლის რუკა, რომელიც ასახულია პროგრამის კურიკულუმში და ასევე სილაბუსებში. შესაბამისად, ყოველ სათანადო სწავლების შედეგებზე და კომპეტენციებზე მორგებულია შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგია, რაც ასევე გაწერილია სილაბუსებში, კურიკულუმის და გრძელვადიან შეფასების რუკაში ე.წ. „პორტფოლიო“.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კლინიკურ დისციპლინებში ყველა კლინიკურ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების/ კომპეტენციების შესაფასებლად პროგრამაში თავიდანვე იყო გათვალისწინებული OSCE-ს გამოცდა შუალედური გამოცდის კომპონენტად, ხოლო MiniCEX (მინიკლინიკური გამოცდა) ფინალური გამოცდის კომპონენტად. თუმცა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევამ გვაჩვენა, რომ OSCE-ს გამოყენება უფრო უპრიანი იყო ფინალურ გამოცდაზე, რადგანაც იგი უფრო ობიექტურად ასახავდა სტუდენტის სწავლის საბოლოო შედეგებს. ამასთან, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს მე-6 რეკომენდაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არ აქვს B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი მას გამოცდა უტარდება უნივერსიტეტში, რომლის წარმატებულად გადალახვის შემთხვევაში, მას ეძლევა პროგრამაზე სწავლის უფლება.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა, რომ OSCE-ს რესურსი სრულად აკმაყოფილებს პროგრამაზე არსებულ სტუდენტებს და შეესაბამება მათ რაოდენობას. მნიშვნელოვანია ასევე, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში ხდება სასწავლო პროცესის დეტალური დაგეგმვა, იქიდან გამომდინარე თუ რა არის სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი. ამასთან დაკავშირებით

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აფილირებული და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და სტუდენტთა დატვირთვის დაგეგმვის მეთოდოლოგია.
მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამის სტრუქტურაში არჩევით კომპონენტად შეთავაზებული სამეცნიერო პრაქტიკული სამუშაო, გაუღრმავებს სტუდენტს სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარებს. სტუდენტი შეძლებს ისარგებლოს საბიბლიოთეკო რესურსით და ლაბორატორიებით. პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას ეტაპობრივად პირველივე სემესტრიდან, როგორც სიმულაციური მულაჟების საშუალებით, ასევე კლინიკაში სავალდებულო მორიგეობებით, ასევე კურაციული სწავლების პროცესში გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუდენტთა პრაქტიკულ სამუშაოში მაქსიმალური ჩართულობა. პროგრამა ასევე სთავაზობს სტუდენტებს გაიღრმავონ პრაქტიკული უნარები არჩევითი კურსით - პრაქტიკა კლინიკაში, როგორც პარტნიორ, ასევე საქართველოში ლიცენზირებულ სხვა კლინიკებში.
რაც შეეხება პერსონალს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და დატვირთვა რელევანტურია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია უხელმძღვანელოს პროგრამას, იგი მონაწილეობს პროგრამის შემუშავება-განვითარება-განხორციელებაში, პროგრამის ირგვლივ დაგეგმილ ღონისძიებებში. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომლებიც მზად არიან კვალიფიციური კონსულტაცია გაუწიონ სტუდენტებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და შეუქმნან მათზე ორიენტირებული მეგობრული, ტოლერანტული გარემო.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ლინცის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტთან დაწესებულებას აქვს ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ხდება ერთობლივად სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში დასწრება.
რაც შეეხება აკადემიური წერის სასწავლო კურსს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საერთოდ საკონსულტაციო საათები თითქმის ყველა სილაბუსში არის გამოყოფილი, კვირაში მინიმუმ ერთი საათი, საჭიროების მიხედვით. საკონტაქტო საათები მოიცავს მხოლოდ ლექცია-სემინარებს, საკონსულტაციო საათები კი განსაზღვრულია დამოუკიდებლად. რაც შეეხება შედეგებს, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ადგილის აქვს ტექნიკურ ხარვეზს და გამოგზავნილი იქნა სილაბუსის ძველი/ სამუშაო ვერსია, ვინაიდან ყველა სილაბუსი გაწერილია ახალი ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე პირებს გადასულიყვნენ მეოთხე საკითხის განხილვაზე. ექსპერტებმა აღნიშნეს რომ „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მათ მიერ ზუსტად იგივე რეკომენდაციები გაიცა, რაც ქართულენოვანი პროგრამის შემთხვევაში. შესაბამისად, მსჯელობის საგანი როგორც მათი, ისე დაწესებულების მხრიდან იქნებოდა ქართულენოვანი პროგრამის განხილვის ანალოგიური.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:30

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი ხარვეზების (ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების) გამოსასწორებლად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს დაევალოს „დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის საშუალებით.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია პრაქტიკისთვის, ტრენინგებისთვის და OSCE-ს გამოცდებისთვის სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ან წარმოდგენილ იქნას განახლების შესაბამისი გეგმა;
2. რეკომენდირებულია სილაბუსების მოდიფიცირება და პერმანენტული განახლება, სილაბუსებში სასწავლო მასალა გადანაწილდეს თემატიკის და შინაარსის შესაბამისად – თავები, პარაგრაფები და ა.შ;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებზე სწავლის ყველა შედეგისა და კომპეტენციის შეფასება;
4. რეკომენდირებულია კლინიკურ დისციპლინებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესაფასებლად OSCE და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება;
5. რეკომენდირებულია OSCE -ს გამოცდებში ჩართული პირების შერჩევა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმით (ლიცენზიაში მითითებული სპეციალობის მიხედვით და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით) და თუკი საჭშირო იქნება დამატებითი კადრების ჩართულობა გადამზადება მოხდეს მხოლოდ მომიჯნავე სპეციალობების გათვალისწინებით;
6. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურის „აკადემიური წერის“ მიზანი, შედეგები მოერგოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანება), განახლდეს ძირითადი ლიტერატურა.

რჩევები:

1. სასურველია კლინიკური უნარების ლაბორატორიაში სპაციალისტის/ტუტორების დაქირავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტების სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს;
2. სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით;

3. სასურველია გაძლიერდეს კლინიკური კვლევების მიმართულებით სტუდენტების ჩართულობა და მათი სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
4. სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტენსიური გამოყენება;
5. სასურველია კლინიკური საგნების სწავლებაში ჩართული (მოწვეული) პედაგოგებისათვის გარკვეული პერიოდულობით ჩატარდეს ტრეინინგი სწავლების მეთოდოლოგიაში და შემუშავდეს შეფასების სტანდარტები, რომელიც წარმოდგენილი იქნება შეფასების ჩაშლილი კრიტერიუმებით;
6. დაიხვეწოს უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის აფილირების წესის უზრუნველყოფის მექანიზმი აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობების შესრულების ეფექტური შემოწმების მიზნით;
7. სასურველია „პრაქტიკა კლინიკაში“ გახდეს სავალდებულო საგანი (დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე), გაიწეროს პრერეკვიზიტი(ები);

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა (დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებისთვის 60 კალენდარული დღის განსაზღვრის საკითხი ხარვეზების (ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების) გამოსასწორებლად

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 26-ე პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედს დაევალოს „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესრულების გადამოწმებაც ცენტრის მიერ მოხდება მონიტორინგის საშუალებით.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია განახლდეს კლინიკური უნარების ლაბორატორია პრაქტიკისთვის, ტრენინგებისთვის და OSCE-ს გამოცდებისთვის სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით ან წარმოდგენილ იქნას განახლების შესაბამისი გეგმა;
2. რეკომენდირებულია სილაბუსების მოდიფიცირება და პერმანენტული განახლება, სილაბუსებში სასწავლო მასალა გადანაწილდეს თემატიკის და შინაარსის შესაბამისად – თავები, პარაგრაფები და ა.შ;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებზე სწავლის ყველა შედეგისა და კომპეტენციის შეფასება;

4. რეკომენდირებულია კლინიკურ დისციპლინებში სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესაფასებლად OSCE და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება;
5. რეკომენდირებულია OSCE -ს გამოცდებში ჩართული პირების შერჩევა მოხდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმით (ლიცენზიაში მითითებული სპეციალობის მიხედვით და პრაქტიკული სამუშაო გამოცდილებით) და თუკი საჭშირო იქნება დამატებითი კადრების ჩართულობა გადამზადება მოხდეს მხოლოდ მომიჯნავე სპეციალობების გათვალისწინებით;
6. რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურის „აკადემიური წერის“ მიზანი, შედეგები მოერგოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანება), განახლდეს ძირითადი ლიტერატურა.

რჩევები:

1. სასურველია კლინიკური უნარების ლაბორატორიაში სპაციალისტის/ტუტორების დაქირავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტების სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს;
2. სასურველია მკაფიოდ განისაზღვროს ხელმძღვანელების როლი და ადგილი პროგრამაში მათი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით;
3. სასურველია გაძლიერდეს კლინიკური კვლევების მიმართულებით სტუდენტების ჩართულობა და მათი სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
4. სასურველია სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტენსიური გამოყენება;
5. სასურველია კლინიკური საგნების სწავლებაში ჩართული (მოწვეული) პედაგოგებისათვის გარკვეული პერიოდულობით ჩატარდეს ტრეინინგი სწავლების მეთოდოლოგიაში და შემუშავდეს შეფასების სტანდარტები, რომელიც წარმოდგენილი იქნება შეფასების ჩაშლილი კრიტერიუმებით;
6. დაიხვეწოს უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის აფილირების წესის უზრუნველყოფის მექანიზმი აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობების შესრულების ეფექტური შემოწმების მიზნით.
7. სასურველია „პრაქტიკა კლინიკაში“ გახდეს სავალდებულო საგანი (დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე), გაიწეროს პრერეკვიზიტი(ები);

მეხუთე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„საერთაშორისო ურთიერთობები: "ევროპა და ახლო აღმოსავლეთი“ (ძირითადი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	**აკრედიტებული**

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 19 აგვისტოს N104 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	„საერთაშორისო ურთიერთობები: "ევროპა და ახლო აღმოსავლეთი“ (ძირითადი სპეციალობა)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	სართაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0705)
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0162, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ირინა ლობჟანიძემ

საფუძველ- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის შემოწმება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 6-16 თებერვალს. შემოწმებისას ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტის კომპონენტების ნაწილზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთ სილაბუსში, თითოეული თემის გვერდზე დასახელებულია სავალდებულო ლიტერატურა, დაახლოებით 5-8 სახელმძღვანელო და მითითებულია კონკრეტული გვერდები. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამდენად დაძლევადია დიდი მოცულობის გვერდების რაოდენობა, განსაკუთრებით საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის. თუ სახელმძღვანელოები არჩევითაც არის მოცემული, რომელ სახელმძღვანელოზე აკეთებს სტუდენტი ხშირ შემთხვევაში არჩევანს, რადგან აღნიშნული გავლენას ახდენს ასევე გამოცდების მომზადების ნაწილზე, შესაბამისად, საკითხი საჭიროებს გადახედვას. ამასთან სულაბუსში მითითებულია როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ხოლო წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის A2 დონე, რაც იწვევს გაუგებრობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია A2 დონის მცოდნე სტუდენტს საფუძვლიანად გაეცნოს უცხოენოვან ლიტერატურას.
საბჭოს წევრმა ასევე ყურადღება გაამახვილა ,,ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის“ სასწავლო კურსზე და აღნიშნა, რომ სილაბუსში შედარებით ძველი ლიტერატურა არის მოცემული, რომელიც საჭიროებს განახლებას. მსგავსი მდგომარეობაა ,,ისლამისა და პოლიტიკის“ სასწავლო კურსთან მიმართებით, სადაც მითითებულია 1999 წლის ლიტერატურა მაშინ როცა არსებობს უფრო ახალი კურსის შესაბამის სახელმძღვანელოები. ასევე ყურადღება გამახვილდა "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია XVII-XIX საუკუნეებში" და "საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია XX საუკუნეში" სილაბუსებში მითითებულ ინგლისურენოვან ლიტერატურაზე, რომელიც უკვე გამოცა ქართულ ენაზეც. საუბარია კისინჯერის "დიპლომატიაზე" სასურველია, რომ ინგლისურენოვანთან ერთად მიეთითოს და გამოყენებულ იქნას ჰენრი კისინჯერი "დიპლომატია", 2021 წლის გამოცემა ქართულ ენაზე.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ექსპერტებს სთხოვა დაეზუსტებინათ, მოიცავს თუ არა პროგრამის 10 სწავლის შედეგი სამივე კვალიფიკაციათა აღმწერს: ცოდნა-გაცნობიერებას, უნარს და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას. გარდა ამისა, რამდენად შესაძლებელია ამგვარად ფორმულირებული შედეგებით შეფასების ანალიზის დოკუმენტის შექმნა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა დააზუსტა არის თუ არა გათვალისწინებული პრაქტიკა პროგრამაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პრაქტიკა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა, ასევე აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულებში ყველა შედეგის გასწვრივ არის მსგავსი ჩანაწერი - დასკვნით შეფასებაში სტუდენტების 80-% მიიღებს 51%-ს და მეტს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს

განემარტათ თუ რა მექანიზმები არსებობს დაწესებულებაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მინიმალური ზღვარი არის 33 ქულა. თუ კი F(X)-ზეც ვერ გადის სტუდენტი მინიმალური ზღვრით, მაშინ რა აზრი აქვს ამ მინიმალურ ზღვარს.
საბჭოს წევრმა ისაუბრა ასევე სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული პროცესი არ არის სრულიად გამჭვირვალე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში და საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. ჩარჩოსთან შესაბამისობის მოყვანის პროცესში, პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდა, ჩამოყალიბდა აკუმულირებული სახით და ორიენტირებული გახდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონის აღმწერთან. შედეგებში აისახა აღმწერით განსაზღვრული ცოდნა/გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ასპექტები. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება შესაბამისი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების დროს გათვალისწინებულია დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულება სრულიად იზიარებს საბჭოს რჩევებს და, შესაბამისად, აუცილებლად მოხდება ლიტერატურის განახლება და ამ კუთხით ყველა აუცილებელი ცვლილების განხორციელება.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ყველა სასწავლო კურსში ლიტერატურა არის როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი, რომელსაც მუდმივად მოჰყვება handout-ები.
რაც შეეხება ლიტერატურას ,,ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის“ სწავლება ეფუძნება უფრო ახალ ლიტარატურას, საგანს თან ახლავს უახლესი ლიტერატურის საფუძველზე მომზადებული ჰენდაუთები, თუმცა, აღნიშნული არ ჩანს სილაბუსში. რაც შეეხება შეფასების კრიტერიუმებს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი აუცილებლად იქნება განხილული ინსტიტუციის მიერ და თუ იარსებებს შეუსაბამობა მინიმალურ და მაქსიმალურ შეფასებასთან მიმართები ხარვეზი აუცილებლად იქნება გამოსწორებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ნიშნულები განისაზღვრება არა 100 ქულიდან, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტის ქულიდან ანგარიშდება, პროცესში გამოიყენება ასევე წინა წლების პრაქტიკა და აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ხდება მინიმალური ზღვრის გამოანგარიშება. მინიმალური ზღვრების დაწესება არ ითვალისწინებს მინიმალური ზღვრების ჯამის გამოანგარიშებას და მათ მიმართებას დადებით შეფასებებთან, აქ საუბარია იმაზე, რომ სტუდენტმა რომ დააგროვოს მინიმალური ქულები სემესტრი განმავლობაში, მან იმაზე მეტი უნდა დააგროვოს ვიდრე მინიმალური ზღვარი დასკვნით გამოცდაზე, იმისათვის რომ მიიღოს კრედიტი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:09
დასრულების დრო: 16:20

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთის (ძირითადი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მიჩნეულიქნეს, რომ „საერთაშორისო ურთიერთობები: "ევროპა და ახლო აღმოსავლეთის“ (ძირი თადისპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათ ლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის№69/ნ ბრძან ებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“და„ სწავლის სფეროების კლასიფი კატორს“.

რჩევები:

1. სასურველია, ისეთი სასწავლო კურსის შემთხვევაში როგორიცაა „ნაციონალიზმი და თანამედროვე პოლიტიკა“ წინაპირობად განისაზღვროს პოლიტიკის მეცნიერების შესავალი, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის შემთხვევაში - პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა გამოყენებული ლიტერატურის განახლება (საერთაშორისო საჯარო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაცია ისლამი და პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია XVII-XIX საუკუნეებში, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია XX საუკუნეში" და სხვა);
3. იმ სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც ძირითადი ლიტერატურის ნაწილი ინგლისური ენაზეა, სასურველია, ინგლისური ენის ბ 2 დონეზე ან ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის წინაპირობად მითითება (მაგ. საჯარო საერთაშორისო სამართალი და სხვა);
4. პროგრამის ორივე მიმართულების - ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ფარგლებში, სასურველია პრაქტიკის, როგორც არჩევითი კომპონენტის შეთავაზება, რაც დადებითად იმოქმედებს სტუდენტების პრაქტიკული უნარებ-ჩვევევის განვითარებაზე.

5. სასურველია სასწავლოს კურსის სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს სტუდენტის ცოდნის შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები.

მეექვსე საკითხი : სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 12 სექტემბრის N119 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 2200, ქ. თბილისი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N1
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვთაცილება განაცხადა- თეა მჭედლურმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ანალიზიდან დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები არის გაუმჯობესებული. კერძოდ, პროგრამის მიხედვით დაიხვეწა მერვე და მეცხრე სწავლის შედეგი აქტიური ზმნების გამოყენების გათვალისწინებით მათო გაზომვის მიზნით და, ასევე, დაიხვეწა მიმართება აღნიშნულ სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის.
გარდა ამისა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ანალიზიდან ჩანს, რომ პროგრამის შინაარსში განხორციელდა გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით ცვლილებებები: კერძოდ, პროგრამას დაემატა შემდეგი საგნები: საგდასახადო საქმე (5 კრედიტი), მომხმარებლის ქცევა (5 კრედიტი), ასევე, ბიზნეს ინფორმატიკა დაემატა ძირითად სფეროს სასწავლო კურსების მოდულს. თუმცა რეკომენდაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, ვინაიდან როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა მიმდინარეობს მუშაობა ოპერაციათა მენეჯმენტის და მმართველობითი აღრიცხვის სასწავლო კურსების მომზადებაზე.
რაც შეეხება სასწავლო კურსებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სასწავლო კურსების ,,ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ და „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების“ სილაბუსები. სასწავლო კურსის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების“ შინაარსი გაუმჯობესებულია. კერძოდ ამ სასწავლო კურსის ფარგლებში ისწავლება ისეთი საკითხები, როგორიცაა რეკლამა, გაყიდვების სტიმულირება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ინტერნეტი და ინტერაქტიული მედია. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარისში ვკითხულობთ, რომ ,,სასწავლო კურსების სილაბუსები დაიხვეწა, მაგალითად საკითხი ,,აქციების და ობლიგაციების შეფასება“, ასევე დივიდენდების პოლიტიკა, რომელიც განხილულია სილაბუსის მე-9 თემაში; აგრეთვე ფინანსური ანალიზის და დაგეგმვის ინსტრუმენტები“. თუმცა ანალიზიდან ჩანს, რომ მესამე თემა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ფინანსური მენეჯმენტის ტერმინოლოგია, საბაზო ფინანსური მაჩვენებლები, ფულადი მასის მართვა და საბანკო მულტიპლიკატორი. მაშინ როდესაც ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა მოგება ზარალის ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის ანაგარიშგება და საბალანსო ანგარიშგება, რომლის საფუძველზე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხდება შემდეგი კოეფიციენტების საშუალებით, როგორიცაა რენტაბელობის, გადახდიუნარიანობის, ლიკვიდურობისა და ა.შ, რომელიც თავის მხირვ აისახება კომპანიის აქციების ფასებზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციე ბი:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ოპერაციათა მენეჯმენტის და მმართველობითი აღრიცხვის სილაბუსების მომზადება და ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულში მათი დამატება;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტის“ შინაარსის გაუმჯობესება უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში მოცემული იყო ოთხი რეკომენდაცია, თუმცა ამჟამად შეფასებული იქნა მხოლოდ სამი. მე-4

რეკომენდაცია ეხებოდა არჩევით სასწავლო კურსებს, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა მხარეებს საკითხის დაზუსტებისკენ.
საბჭოს წევრმა, აღნიშნა, რომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაწესებულებამ აკადემიური პერსონალის წახალისების მიზნით დანერგა შიდა გრანტის სისტემა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები ტარდება პროფესორ მასწავლებლების საერთაშორისო გრანტებში ჩართულობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნებისთვის.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა დააზუსტა ,,ოპერაციათა მენეჯმენტის კურსთან დაკავშირებით", კერძოდ შემუშავების რა ეტაპზეა მოცემული სასწავლო კურსი.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა ,,მომხმარებლის ქცევის" სასწავლო კურსი, რომლის შინაარსი და სწავლის შედეგები აცდენილია ერთმანეთს. სწავლის შედეგები იმგვარად არის ფორმულირებული, რომ მენეჯმენტის საფუძვლების შედეგებს აღწერს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ.
ექსპერტმა განმარტა, რომ ანგარიშში მოცემული იყო მხოლოდ სამი რეკომენდაცია, რომელის მიხედვითაც მოხდა პროგრამის შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ,,ოპერაციათა მენეჯმენტთან" მიმართებით, სილაბუსი უკვე მომზადებულია, გასულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად. ამ ეტაზე კი გადაცემულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რათა მან წარუდგინოს აღნიშნული აკადემიურ საბჭოს საბოლოოდ დასამტკიცებლად.
რაც შეეხება ,,მომხმარებელთა ქცევის" სასწავლო კურსს, სილაბუსში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი, რაც უახლოეს დღეებში აღმოიფხვრება.
პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა ინტერნაციონალიზაციასთან და საერთაშორისო გრანტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ კუთხით თელავის უნივერისტეტი საკამოდ აქტიურია და ჩართულია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში. წინა სემესტრებში უნივერსიტეტმა მიიღო ასევე უცხოელი სტუდენტებიც.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, ასევე, მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული არ შეფასებულა ვიზიტის დროს.
საბჭოს წევრმა, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო მე-4 რეკომენდაციის შედეგების განხილვა, ვინაიდან ეს რეკომენდაცია დაამატა აკრედიტაციის საბჭომ და დაწესებულებას უნდა ეხელმძღვანელა საბოლოო დოკუმენტით, გადაწყვეტილებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ გაიზიარა ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასებები, მათი მოსაზრებით დაწესებულებამ ექსპერტის დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან ერთად უნდა შეასრულოს აკრედიტაციის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული მე - 4 რეკომენდაციაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2 თვეში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე ცენტრთან შუამდგომლობის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის 2[11] პუნქტის, 31 მუხლის საფუძველზე, საბჭომ ცენტრთან იშუამდგომლა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 2 თვეში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.

შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსების ოპერაციათა მენეჯმენტის და მმართველობითი აღრიცხვის სილაბუსების მომზადება და ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების მოდულში მათი დამატება;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის ,,ფინანსური მენეჯმენტის“ შინაარსის გაუმჯობესება უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით;
3. რეკომენდირებულია არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში უახლესი ლიტერატურით განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსები: „დემოკრატია და მოქალაქეობა“, „შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში“. დაემატოს უახლესი გამოცემები სასწავლო კურსს „ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები“. დაიხვეწოს აღნიშნული კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები.

საბჭოს სხდომა დატოვეს ლევან მოსახლიშვილმა და ნინო ჭალაგანიძემ

მეშვიდე საკითხი : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 02 თებერვლის N53932 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0141, ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, მასზე თანდართულ დოკუმენტებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენლებს იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტის პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 02 თებერვლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2022 წლის 02 თებერვალი. საბჭოს გადაწყვეტილებაში ასახული ყველა რეკომენდაცია მიემართება მე-2 სტანდარტს: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, კერძოდ მის 2.3. კომპონენტს: სასწავლო კურსის შინაარს და ძირითადად მოიცავს რეკომენდაციებს კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსის მოდიფიცირებისა და ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოს რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის, სამართლის ფაკულტეტის დეკანის, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელისა და სამართლის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი იმ აკადემიური პერსონალის მონაწილეობით, რომელთა სასწავლო კურსების სილაბუსებთან მიმართებითაც გაიცა რეკომენდაციები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ სამუშაო ჯგუფმა გუნდური მუშაობის პრინციპით განიხილა სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიმართ დადგენილი რეკომენდაციები და იმის გათვალისწინებით, რომ ყველა რეკომენდაცია სილაბუსებში შესაბამის ცვლილებებს მოითხოვდა, რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა შესაბამისი სილაბუსების გადამუშავება და შესაბამისი ანგარიშის წარმოდგენა. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და მოდიფიცირებული სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებუკების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპეტს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ ყველა რეკომენდაცია იქნა შესრულებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:20

დასრულების დრო: 17:12

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ გაიზიარა ექსპერტის შეფასებები რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:10 წუთზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით